



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 3 მაისი, 2017 წელი

დრო: 16:30 -18:30

შეხვედრის ადგილი: ევროპის ფონდის ოფისი (მის: 3 ლადო კავსაძის ქუჩა)

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ვლადიმირ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
8. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

- ევროპის დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხები;
- პოლიტიკის დოკუმენტები და მათთან დაკავშირებული შეხვედრები;
- პლატფორმის შეხვედრების მოთხოვნის ფორმის შემუშავება;
- ორგანიზაციის: ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ მხარდამჭერი წერილის განხილვა;
- პლატფორმის წევრ ორგანიზაციათა წარმომადგენლების დაზუსტების პროცესში გამოვლენილი საკითხები;
- რეგიონული წარმომადგენლობის დაარსება;
- ახალი წევრების მიღება;
- და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად თავმჯდომარემ განიხილა პლატფორმის წევრების მიერ Google ჯგუფში გამოთქმული მოსაზრებები. მათ შორის, ყურადღება გაამახვილა საბჭოს სხდომების შესახებ პირდაპირი ტრანსლაციის წინადადებაზე. საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოს სხდომა იყოს ღია და პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცეს პლატფორმის ფეისბუქის მეშვეობით, თუმცა, აქვე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ კონკრეტული საკითხები, როგორცაა წევრების გაწევრიანების პროცედურები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროებს კენჭისყრას, იქნება დახურული სახით. დახურულად განსახილველ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები აისახება შეხვედრის ოქმში. დაისვა შეკითხვა, აღნიშნული მიდგომა გავრცელდება თუ არა ჯგუფების სამუშაო პროცესზე. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საკითხი უმჯობესია გადაწყვიტონ თავად ჯგუფის წევრებმა.

შემდეგ საკითხად, პირველი ჯგუფის კოორდინატორებმა მოკლედ მიმოიხილეს პირველი ჯგუფის შეხვედრა და საბჭოს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ პირველ ჯგუფს აქვს ინიციატივა კონსტიტუციის საკითხებთან დაკავშირებით შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს.

პლატფორმის თავმჯდომარემ წარადგინა წინადადება, სხვა დროს, როდესაც პლატფორმის წევრებს ექნებათ კონკრეტული წინადადებები პლატფორმის სახელით შეხვედრის ორგანიზების შესახებ, მათ ეთხოვოთ შეავსონ სპეციალური ფორმა. საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება, სამდივნოს ეთხოვოს ფორმის შედგენა, სადაც გაიწერება შემდეგი ინფორმაციები: შეხვედრის მსურველ ორგანიზაციას/ორგანიზაციათა ჯგუფს ვისთან სურთ შეხვედრა; შეხვედრის მიზანი; რა საერთო პოზიცია აქვს პლატფორმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); რას ელოდება ინიციატორი შეხვედრისგან; როდის შეიძლება დადგეს შედეგი; განსახილველი საკითხები; თუ არსებობს საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტები; მონაწილეთა სია და რაც მთავარია დასტური, რომ ავტორი გამოხატავს მზაობას თავად მიაღწეოს თვალყური მიზნის მიღწევას, საჭიროების შემთხვევაში, სამდივნოს ტექნიკური

დახმარებით. აღნიშნული ფორმა მინიმუმ ერთი კვირით ადრე უნდა გაეგზავნოს სამდივნოს, რათა მათ მიაწოდონ საბჭოს და საკოორდინაციო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას დაიგეგმოს თუ არა შეხვედრა პლატფორმის სახელით.

რაც შეეხება განცხადების გავრცელების ფორმატს, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება განცხადების/მიმართვის გავრცელებისას ინიციატორმა აღნიშნოს, რა შედეგს ელოდება და რომელი უწყებისგან, ასევე გამოხატოს მზაობა, რომ მიაღებებს თვალყურს პროცესს და პლატფორმას მიაწვდის განახლებულ ინფორმაციას შედეგების შესახებ. თუ განცხადების შინაარსი გულისხმობს მხოლოდ პოზიციის გამოხატვას, ამ შემთხვევაშიც, განცხადების ავტორი იღებს ვალდებულებას ყველა გამოხმაურება რაც მოჰყვება განცხადებას ეცნობოს მთელ პლატფორმას.

საბჭოს ერთობლივი მოსაზრებით, ამ გზით გაიზრდება ერთის მხრივ პლატფორმის საქმიანობის შედეგიანობა, ასევე წინასწარ განისაზღვრება მოლოდინები და პასუხისმგებლობები, რაც მეტად ეფექტურს გახდის პლატფორმის მუშაობას.

საბჭომ ასევე იმსჯელა ორგანიზაციისთვის: ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ მხარდამჭერი წერილის პლატფორმის სახელით გაცემის საკითხზე. გამოითქვა კონკრეტული მოსაზრებები წერილის შინაარსთან დაკავშირებით და საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ასახავს საბჭოს შენიშვნებს წერილში, საბჭომ გასცეს მხარდაჭერის წერილი.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა პლატფორმის წევრ ორგანიზაციათა წარმომადგენლების დაზუსტების პროცესში გამოვლენილი საკითხები: სამდივნოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად გამოიკვეთა, რომ პლატფორმის წევრ 3 ორგანიზაციას შეჩერებული აქვს ფუნქციონირება, ამდენად მათი განცხადების საფუძველზე, ისინი დროებით ვერ ჩაერთვებიან პლატფორმის მუშაობაში.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, საბჭომ იმსჯელა რეგიონული წარმომადგენლობის დაარსების საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ ერთი წარმომადგენლობა დაემატოს პლატფორმას აჭარის რეგიონში. ეთხოვა სამდივნოს, დაიწყო შესაბამისი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

საბჭომ ასევე იმსჯელა ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში პლატფორმის ჩართულობის ფორმის შესახებ. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში კვირას, 7 მაისს, ღონისძიებას, სადაც პლატფორმისთვის გამოყოფილია შესაბამისი ინვენტარი. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმამ ღონისძიებაზე წარადგინოს წევრი ორგანიზაციების პუბლიკაციები, კვლევები, საინფორმაციო ბროშურები და სხვადასხვა მასალები. ასევე, წარმოდგენილი იყოს წევრი ორგანიზაციების ლოგოები და სხვა. სამდივნოს ეთხოვა, მიმართონ წევრებს შესაბამისი თხოვნით.

საბჭომ ასევე განიხილა, რეგიონში დაგეგმილი ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და რეგიონალური ორგანიზაციების წინადადებები. მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმამაც დაგეგმოს რეგიონალური წარმომადგენლების მეშვეობით ღონისძიებები და საბჭოს წევრებმა, მიიღონ მონაწილეობა.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა პლატფორმის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები და მასთან დაკავშირებული შეხვედრები. სამდივნოს ეთხოვა პოლიტიკის დოკუმენტების ავტორებს მიაწოდოს შეხვედრების ფორმა (მას შემდეგ რაც შემუშავდება) და იმ ავტორებს, რომელთა დოკუმენტებიც არ განხილულა ეთხოვით ფორმის შევსება, რათა დაიგეგმოს შეხვედრები. პლატფორმის წევრთა ფორმებს სამდივნო, თავის მხრივ, მიაწვდის სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ან უშუალოდ შესაბამის სამინისტროებს.

პლატფორმის თავმჯდომარემ შეხვედრის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ასევე გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან, რათა მათ, ანაზღაურების გარეშე, პლატფორმას დაუთმონ შეხვედრებისთვის სივრცე. სამდივნოს ეთხოვა მემორანდუმის ტექსტის მომზადება.

თავმჯდომარემ ასევე, ყურადღება გაამახვილა პლატფორმის რამდენიმეწლიანი სტრატეგიის შემუშავებაზე და მიმართა საბჭოს ინიციატივით, ორგანიზება გაუწიონ გასვლით შეხვედრას, სადაც საბჭოს წევრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალური ორგანიზაციები და იმსჯელებენ პლატფორმის სტრატეგიაზე. შეხვედრას გაუძღვება მოწვეული გარე ფასილიტატორი, რომელიც შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბებს სტრატეგიას, რომელშიც ასევე აისახება პლატფორმის კომუნიკაციის სტრატეგია - რა მესიჯები უნდა გაავრცელოს პლატფორმამ და როგორ. საკითხთან დაკავშირებით, სამდივნოს ეთხოვა შეიმუშაოს კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეირჩევა ფასილიტატორი.

შეხვედრის ბოლოს საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების აპლიკაციები და დადებითად გადაწყვიტა შემდეგი ორი ორგანიზაციის გაწევრიანება:

- მწვანე დედამიწა;
- აფხაზეთი-ჩემი სახლი

ორგანიზაციის: „კანონი და სამართლიანობა“ წარმომადგენლის დაგვიანების გამო, მათი გაწევრიანების საკითხი გადაიდო შემდეგი შეხვედრისთვის განსახილველად.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა